წერილის ნომერი: **30-302103657**
თარიღი: **05/02/2021**
პინი: **8658**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათი განსახილველად - ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

იხ.დანართი : 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

წერილის ნომერი:**05-302103629**
თარიღი: **05/02/2021**

ადრესატი:

მაგული კუნჭულია
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის

უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

დაზუსტებული მოხსენებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2685681 ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებლი პროექტების თანადაფინანსებაზე უნდა მიიმართოს 141406 ლარი, სულ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება განისაზღვრა 2827087 ლარი აქედან: ღრმაღელე-ორმეთი-გზის რეაბილიტაციაზე 1612148 ლარი მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტით 84850 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 211028 ლარი მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტით 11160 ლარი და ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე 862505 ლარი მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტით 45396 ლარი.

პროექტების განხორციელებაზე თანადაფინანსებით მიმართული 141406 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს 2021 წლის 01 იანვრისათვის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. ამასთან ღრმაღელე-ორმეთის გზის რეაბილიტაციაზე ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან უნდა მიიმართოს 2020 წელში დაკავებული (5%) 9999 ლარი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 10585 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაკავებული (5%) 54314,88 ლარი, ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათებისა და მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს (5%) 32023,59 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით გამოყოფილი თანხიას ნაშთი 1197324,42 ლარი უნდა მიიმართოს სტყიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 912399,5 ლარი, აქედან ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში 95002,49 ლარი, სოფელ ჩოჩხათისა და

გულიანში 85826,98 ლარი, ქ.ლანჩხუთის, მაჩხვარეთის და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში 119460,12 ლარი, სუფსისა და ღრმაღელის ტერიტორიულ ერთეულში 131887,90 ლარი. სოფელ მოედანში, წიაღობნისა და კოკათში 137999,01 ლარი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 77393,11 ლარი, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში 264829,89 ლარი და სახლემწიფო შესყიდვის შესახებ N210 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართოს 231852,43 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილ თანხებიდან (ცვლილებების გათვალისწინებით) 260647,67 ლარი, მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის 46064 ლარი უნდა მიიმართოს გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 222228,8 ლარი მიიმართება სოფელ ჯიხანჯირის სკოლის და ახალსოფლის სკოლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებზე.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 10417,38 ლარი მათ.შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 6654,23 ლარი მიიმართება ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხის ნაშთიდან 39203 ლარი მიიმართება ქ.ლანჩხუთში გვარჯალაძის ქუჩაზე სკვერის მოწყობაზე 23994 ლარი და ლანჩხუთში მემორიალის მოწყობაზე 15209 ლარი.

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს კანონის“ საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად 2021 წლის ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 1300.0 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 200.0 ათასი ლარით ნაკლები, დამტკიცებულ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით 200.0 ათასი ლარით გაიზარდოს 2021 წლის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯებზე მიმართვა და განისაზღვროს 1711.0 ათასი ლარით.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2021 წლის ------- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2021 წლის თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 26.12.2019, სარ. კოდი:190020020.35.112.016416) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე–10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე–11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე–12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021-2024 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე–13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე